

# ნიანპი

თბილისი.  
ბაგოცემის წელი  
„კომუნისტური თეატრი“



6/12  
6  
11/4

ნ. ა. ბევაშვილისა

### აღიას ხარჯზე ოსმანას შეუძნდოსო

- ქალიან დაწვრილდა ამ ბოლო დროს ჩვენი წარმოების პაპიროსი.
- რა უშავს, სამაგიეროდ დირექტორი დამსხვილდა.



საზღვაო უღმრეს

საკაპიტო უღმრესული

დღეს როგორ გავძლებ, არ შეგხვდე ყვავილებით და საღამით, როგორ არ გნახო ზეიმში— გულს არ შევმატო ძალა მით?

შენ, ჩვენი ზღვების ჯავშანო, დევგმირო, რკინისმკვნიტელო, დიდი სამშობლოს კუნთებო და ძალავ დაუშრეტელო!

ბრძოლებში დავაჟაკებების კვლავ მოგემატა თარიღი— და ის მახარებს, დიდებით რომ ბრწყინავ, როგორც მარისი!

მახარებს, როცა გავხედავ შენი მაღალი ანძიდან, დიად გზას— შენგან გამოვლილს— მაგ ვაჟკაცურის გარჯითა!

შორეულ ოკეანიდან, ყველა ნაპირის ზღვებამდე, ჩახაფრებულნი დუშმანნი— შენს დასაკბენად ჰყეფავდნენ.

მაგრამ იწვინა საწვინევი, ვინც შემოგზედა ხელყოფა: ისეთი ხურდა წაიღო, მის შვილიშვილსაც ეყოფა!

განა ცოტანი ყოფილან გადამთიელთა ურდონი, ვისაც სურვილში ჩაურტყვი, ვისაც შეჰყარე სურდონი?

ურჩხულად შემოცურება მათში რამდენმაც გაბედა, სუყველას ბდღვირი აღინე, უტირე ცოლი და დედა!

მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად უნაყე ცხვირია — ყროყინით თავს რომ დავგვსხა— ის არიული ვირია.

შიტლერზე ვამბობ, მიხვდები, რაღა თქმა უნდა ამასა: რაც დაჰკარ— დაკვრად ეყოფა იმის პაპას და მამასა!

ბალტიის ზღვაში თევზები რომ დაანაყრე ფრიცებით, შემდეგ შავ ზღვაში ჩააწყე მათი ძმები და ბიძები.

ოდესას მკერდით იცავდი, და მკლავით— სევასტოპოლსა, სცემდი პლომეტს და კონსტანტს, თანაც ბუქარესტს ობოლსა.

და ყველგან გმირი იყავი. უძლევი თანაბარია,— შენგან გადმოსხმულ ვაჟკაცებს შეუძრავთ მთა და ბარი!

ვინ დაივიწყოს ხაოცარ საქმეთა ვრცელი სერია, რაც ახალ მატონში შენის მარჯვენით სწერია?

ვინ დაივიწყოს ვაჟკაცი— მტერთა ჯავშანის მტეხელნი, ვინც ბილბილივით მოფშვნიტეს— ჩვენი სიწმინდის მკრებელნი?

ვინ დაივიწყოს მათ შორის ივერიელი გმირები: დიდი სამშობლოსათვის სიცოცხლე განაწირები.

შევარდენ წურწუმიაზე ვინ არ იმღეროს გულითა, ვეფხვ აღამიას სახელი ვინ არ თქვას სიყვარულითა?

გეგეშეძესთან მხარდამხარ ნაბრძოლთა მოგონებანი, ვინ არ შეამკობს დიდებით აუღერებული ებანი?

ან მეწყალქვეშე მთის ლიშხა ამაყ სვანს— იოსელიანს ვინ არ შეუქოს სიმღერით გმირობა უეჭველი!

მრავალი ასი ათასი მტერთა მქცველი ფერფლადა,— ვისაც თავისი სიცოცხლე მიუტანია მსხვერპლად,

რომ ეხსნა დიდი სამშობლო დუშმანთა გათელვისაგან, რომ მტრისთვის ცხვირში ჩაეხსა ცხარე ძმარი და წიწკა!

და რამდენი დღეც გაივლის, რამდენი წელიც გადავა, მაგ შენი შარავანდედის მზადა ვარ დასახატავად.

მიტომაც დღეს შენს პარადზე მოვსულვარ თაიგულითა, რომ მოგილოცო დღეობა ამღერებული გულითა!


ილიდოს შენი სახელი, ჯავშანო ჩვენი ზღვებისა, ძირსდაუხრელად გიძლიდეს წინ დროშა გამარჯვებისა.

შენ, ფირუზ თყენეთა და გრიგალბნის მწველო, ყოველთვის მოიერიშე და უკანდაუხვევლო. შენ, ფრთებფოლად არწივო, რისხვის და ცეცხლის მფრქვეველო, სიამაყე და სახელო, სიმტკიცეც მტერთა მძლეველო!— შენს გმირულ დღესასწაულზე მომინარიან ყოველთვის, დღესაც ამ თაიგულებით ფიქრი კვლავ შენსკენ მომელტვის; მომელტვის, მინდა სალამი კვლავად მოგიძღვნა ჩვეული,— დამსახურებულ დიდების გვირგვინად ამორჩეული. მოგიძღვნა აღტაცებანი, არა თუ მარტო ჩვენია, მთელ მსოფლიოსი— გმირობის გაგება ვის შერჩენია! ვინ მოსთვლის რამდენ ვაჟკაცურ საქმითა ბრწყინავს ყოველი შენი გაფრენა— ჩვენთვის მზის, მტრისთვის კი— რისხვის მთოველი! ვინ მოსთვლის— რამდენჯერ შესძარ გადამთიელთა ბუნაგი, რამდენს შეჰყარე დევგმირმა— შიშის და ძრწოლის ხუნაგი. ვინც სცადა ჩვენს დიდ კერაში უქრობელ ცეცხლის ჩაქრობა, ვინც შემოგვეჭრა ოჯახში, გაბედა ჩვენზე ლაშქრობა, ყველას რიგრიგად მიუხდე სამაგიერო ისეთი, რომ მის მთელ მოდგმას ახსოვდეს— სანამ არსებობს მზისეთი. შენგან გამოზრდილ შევარდნებს— ცანი რომ გადაულახავთ,— სამშობლოს მკვრდის მკორტნელი რაც ყვეგ-ყორნები უნახავთ, გაუბენტიათ, დაუკრავთ ქანგი აღმასად ნალესი და მოუშვათ ბრძოლებში გმირობა უმწვერვალესი. ამ გმირობაზე სიმღერა მეც გულით დამაქვს ყოველთვის, მიტომაც შენს დღეობაზე— გული ხალისით მომელტვის და რაც ძვირფასი ყვავილი ჩვენში იშლება— მზიანად, შენთან მადლობის სათქმელად კვლავ მომაქვს ხალისიანად.

ნიანგის დავალებით შარსაღან


## ახალიუბაჩხული მუსიკა

ნახ. მ. ოთაროვისა



რა პირქუში საკრავია, რა უმგვანოდ ანაუღერი, არაფრით შგავს ელდინურსა— სულ სვასტიკის მიმსა მღერის.

ნახ. დ. რიონელისა



ეს რა გუგუნი გაიხმის, ქუჩებს რათ გააქვს ზანზარი?  
ვინ იწვის, ვინ იფერფლება, ვის დასცემია თავზარი?  
—ბორჯომელ ხანძრისმქრობელებს თვით გასჩენიათ ხანძარი.

# წუგართი ბაბუები და ნიჭიერი მკვირი მკვიდეები



ერთი შტამში დასჩემდა ჩვენს მწერლობას, დრამატურგის, მომხსენებლებს. თითქმის ცოტაა ახლა ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ამბავი არ იწყებოდეს ნებროთის დროიდან და დღევანდელი დღით არ თავდებოდეს. უაღრესად კონკრეტულ საკითხზე ისე არ წაიკითხავენ მოხსენებას, თუ მთელი ისტორია არ დაიმოწმეს.  
რა თქმა უნდა, მშობელი ქვეყნის ისტორიის პროპაგანდა ფრიად საჭირო და კეთილშობილი საქმეა და თუკი ეს პროპაგანდა სათანადო ცოდნით და კულტურით შესაფერ პირობებში ტარდება, ქარგის მეტი რა გვეთქმის!  
მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და რომ ზომიერება ყველგან და ყველაფერში საჭიროა.  
ამასწინად ჩატარდა ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადი. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხის ბავშვებმა აჩვენეს თავიანთი ნიჭი და უნარი. მაყურებლები აღტაცებულნი იყვნენ ნორჩი შემსრულებლების ოსტატობით, უშუალოდ, ბავშვთა შემოქმედების მომხიბლავი მრავალფეროვნებით.  
მაგრამ იყო ზოგჯერ მოსაწყენი ერთფეროვნებაც, გაუთავებელი მსჯელობა და ცუდად მომზადებული ლექცია.  
აიხდებოდა ფარდა, გამოვიდოდა მოხუცი „ბაბუა“, შემოეხვეოდნენ ირგვლივ ბავშვები და იწყებოდა, იქნებ გეგონოთ სიმღერა და ცეკვა-თამაში!—არა, ლექცია, უხერო ლექცია ჩვენი ქვეყნის

წარსულზე. „ბაბუა“ საკმაოდ მოსაწყენად მოუთხრობდა ბავშვებს საქართველოს ძველ ისტორიას, შემდეგ გადმოვიდოდა მუშათა მოძრაობის ისტორიაზე და ბოლოს იმ ქალაქის ისტორიით გაათავებდა, რომლის ბავშვთა შემოქმედების საჩვენებლადაც ისინი იყვნენ გამოგზავნილი.  
მაგრამ ამ უკანასკნელისათვის დრო უკვე აღარ რჩებოდათ, მოქანცული მაყურებლები გაკვირებული შეჰყურებდნენ ერთიმეორეს, თითქო ამბობდნენ: ხომ არ შეგვეშალა და ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადის ნაცვლად შეცდომით სხვაგან ხომ არ მოგხვდითო.  
ეს მოსაწყენი სქემა რომ მარტო ერთი ქალაქის ან რაიონის ბავშვებს წარმოედგინათ, არ ელირებოდა მასზე ყურადღების შეჩერება, მაგრამ სამწუხაროდ მას შტამის ხასიათი ჰქონდა და სხვადასხვა ვარიანტებით რამდენიმე გამოსვლაში მეორდებოდა.  
საბედნიეროდ აქ ბავშვები როდი იყვნენ დამნაშავენი, მათ ცეკვა-თამაში, სიმღერა და დეკლამაცია ერჩივნათ აბეზარი „ბაბუის“ გაუთავებელ ლექციას, მაგრამ რა ექნათ, როცა უხერო სცენარი ამის საშუალებას არ აძლევდათ.  
ბავშვთა შემოქმედებით მოხიბლულნი, დრო და დრო მოქანცულნი შეგყურებდით ზოგიერთ გამოსვლას, უნიჭო სქემით შეზღუდულ ძალად დაბერებულ ბავშვებს და გუნებაში მათ ვუგზავნიდით „სამადლობელს“, ვისაც ბავშვთა ხალას შემოქმედებაშიც კი უცდია დაშტამებული კრებების სტილის, შემაწუხებელი მლიქვნელობის დანერგვა.

სიმღერა პირველ საბუთზე

აშკარად ვიგრძენი ჯიბეში უცხო ხელის ფათური.
„ჯიბგირი“ — გამიფრთხილა თავი და ელვის სის-
წრაფითვე ვიღაცე ჯიბეს ხელი, მაგრამ ის უცხო ხე-
ლი ელვაზე უფრო სწრაფი აღმოჩნდა და ჩემი საფუ-
ლე იგი გაქოა. თითქოს მიწში ჩაყლაპაო.

მოწყვეტილად შემობრუნდი. ჩემს უკან ფრიალ
საეჭვო ახალგაზრდა იდგა, რომელმაც შემობრუნები-
სთანავე ნაძალადევი აღელვებით მომმართა:

— თუ შედიხარ ამხანაგო, შედიო, თორემ ჩვენ
გაგვატარეთ, ხომ ხედავთ დიდძალ ტროლეიბუსს!

— აშკარად ესაა—გამიფრთხილა თავი და სწრაფად
ვეძებრე—საფულე ამოიღე-მეთქი.

— რა საფულე, შენ გაჩალი ხომ არ ხარ, რომ
საფულეს მთხოვე?! — შემომეღვინა ახალგაზრდა პირაქეთ.

— საფულე ამომაცალა, ხალხნო, მილიციას დაუ-
ძახეთ, — შევევედრე იქ დამსწრე მოქალაქეებს და რაც
ძალი და ღონე მქონდა იქით გავათრეე ჯიბგირი
საითყენაც მილიციელი მეგულვებოდა.

— გიჟია ეს ოხერი?! რას გადამეკიდა! — ხედმეტი
აღელვებით ჰკიოდა ახალგაზრდა, რაც კიდევ უფრო
მარწმუნებდა მის ჯიბგირობაში.


მე გაცილებით ღონიერი აღმოვიჩნდი და დანაშაუ-
ვე მილიციელთან მივართიე: — მიშველეთ მეთქი, ეს
ესაა ამ კაცმა საფულე ამომაცალა, კიდევ კარგი მაშინ-
ვე ვიგრძენი და ცელარსად გამექცა.

— რისი საფულე, რა საფულე? — მოსაბეზრებლად
ჰკიოდა ახალგაზრდა. — გამჩხრიკეთ, თანახმა ვარ.

მილიციელმა დინჯათ ამხედ-ღამხედ და დინჯად-
ვე მიუბრუნდა ახალგაზრდას — კარგი ერთი ნუ წრიპი-
ნებ, მარტო შენ ხომ არა ხარ ამოდენა ქალაქში? —
მერე მე მომმართა: — თქვენი საბუთები ამხანაგო.



— აი საბუთები მეთქი.
— საბუთები გქონიათ, არ ასე ამხანაგო, ყველა-
ფერს საბუთი უნდა. ესლა მითხარით რა საბუთი
გაქვთ, რომ ეს ახალგაზრდა ჯიბგირია? ხომ იცით
რამოდენა ბრალდებას უყენებთ მას?
— საბუთი ჩემი საფულეა მეთქი.
— კარგი, მაგრამ სადაა ის თქვენი საბუთი? თქვე-
ნი საფულე?
— ამ კაცმა ამომაცალა.
— საბუთი სახეზე უნდა იყოს ამხანაგო, აბა ისე
რა საფულეზე დაევაპტიმრო ეს კაცი?
— კი მაგრამ, საბუთი რომ ხელში მქონდა და
მაგას. არ ამოვიცალა თქვენ ხომ არ მოგმართავდით?
— საბუთი ამხანაგო, საბუთი, — აუწია ხმას მილი-
ციელმა.
— კაცო, ეგ ჯიბგირი ხელწერილს ხომ არ მომ-
ცემდა — მე ამა და ამ კაცმა ამოვაცალე საფულეო?
— საბუთი ამხანაგო, უსაბუთოდ ვერაფერს გაზ-
დებით. — უკვე გაბრაზებით მომიბრუნდა მილიციელი.
— ფულუ! — ჩაეკინე ხელი და ორივეს გავეცალე.
ერთი რამ მაშვიდებდა: საფულეში მხოლოდ სამი
თუმანი მქონდა — გადამიხურავს შენთვის თქო — ვიფიქ-



რე იმ ჯიბგირზე და ისევ ტროლეიბუსის გაჩერებისა-
კენ წავედი. ცოტახნის შემდეგ მეც შევეჭვდი თითონ
— რას ჩავაცივდი იმ ახალგაზრდას, იქნებ მართლაც
ის არ იყო ჯიბგირი მეთქი. კიდევ კარგი იოლად



გადავჩი. ორიოდ წუთის შემდეგ მოვიხედე, ახალ-
გაზრდა ისევ ჩემს უკან დგას. გაჩერებასთან ჩვენ ორ-
ნი მარტო აღმოვიჩნდით.

მან საყვედურით მომმართა:
— ინტელიგენტ კაცს გევზართ, ფულიან კაცს;
სამთუშნიანის მეტი კი ჯიბეში არა გქონიათ. აი, წაი-
ლე შენი საფულე და იცოდე, მეორეხელ ასეთ ხურდა-
ზე არ გამასვრევიანო ხელი!

სიმღერა მეორე საბუთზე

— თბილისის ბილეთი მომეცით. მაგარი იყოს,
სულ უპლაცკარტო იყოს, ზვალ დილით იქ არ ვიქნე,
შეუძლებელია. — ვემუდარებოდი მოლარეს.
— არც ერთი ბილეთი არ არის, გაიგეთ მოქა-
ლაქევე!
— რაღა გქნა ახლა? — აღმომხდა სასოწარკვე-
თილს.
— მოიტათ ჩქარა ორასი მანეთი — ჩუბჩუბლით
გამომძახა მოლარემ, როცა დარწმუნდა, რომ ჩემს
მეტი არაფერ დგას სარკმელთან.
— ორასი მანეთი?
— ჰო, ორასი მანეთი, ერთი რბილი ბილეთი
მაქვს.
— როგორ! რბილი ვაგონის ბილეთი ხომ შეიდი
თუმათი ღირს?
— ეს პირადად ჩემი ბილეთია, ძმისთვის შევი-
ძინე, მას არ ეჩქარება თქვენსავით, ზვალ გაფუშვებ.
— რას ამბობთ, ორას მანეთს სამივლინებო ხარ-
ჯებში ვინ ამინაზღაურებს?
— ეგ ჩემი საქმე არაა, მოიტათ ფული სანამ ვინმე
მოვიდოდეს და ბევრსაც ნუ ლაპარაკობთ. თუ არ
გსურთ ბილეთი, მიბრძანდით.
— მაშინ მომეცით საბუთი სამსახურში ბუნძალ-
ტერიაში წარსადგენად — შეგძახე სარკმელში დაუფიქ-
რებლად და მაშინვე მივხვდი, რომ აჩქარებამ და გუ-
ლუბრყვილობამ სისულელე მათქმევინა.
— საბუთს კი არა გრამოტას მოგართმევ, — დამ-
ცინა მოლარემ მე ისედაც დაბნეულს.
ასეთმა შერცხვენამ და ჩემმა დაუფიქრებლობამ
უფრო გადამაწყვეტინა და.
— მოიტათ ბილეთი მეთქი და ჯიბეები მოვიქექე.
ჯიბეში საუბედუროდ ასოთხმოცი მანეთი აღმო-

მაჩნდა. აქ კი მოლარის სასარგებლოდ უნდა ვთქ-
ვეთ ილმა ქალმა ოცი მანეთი სულგრძელად მაპატ-
რონა.
ამ ქველმოქმედებამ ერთხანს დამაზნა, მა-
გრამ მალე ისევ გამოვეგრძევე და სადგურის უფრო-
სთან შევევარი.

— ეს რას ჰგავს მეთქი, მე, საბუთო დაწესებ-
ლების მუშაკს, რკინიგზის ბილეთებისათვის ფულ-
იმდენი მეძლევა, რაცა ღირს მეთქი, თქვენ კი ორ-
მანეთს მახდევინებთ.

— ვინ გახდევინებთ ამხანაგო? — გაოცებულივ
შემომხედა სადგურის უფროსმა. შევატყე ჩემი ასე
პირდაპირი ლაპარაკი ცოტა არანორმალური კა-
შთაბეჭდილება მოვანდინე მასზე, მაგრამ მე იმდენ-
ვიყავი აღელვებული, არაფრად ვაგდებდი მის აზრ-
და შეხედულებას.

— თქვენი მოლარე — მიგახალე სწრაფად.
— ცილს სწამებთ ჩვენს მუშაკს. — შემომწყურა უ-
როსი.

— მე ნამდვილს მოგახსენებთ — თუმცა გულ-
გამკრა: რამ მათქმევინა ორასი მანეთი? მე ხომ
ოთხმოცი მივეცი, ახლა რომ ამ უფროსმა მოლა-
გამოიძახა, მას ხომ ნატზე შეუძლია დაიფიცოს, რ-
ორასი მანეთი არ მიუღია?

— მაშ თქვენ ბილეთში ორასი მანეთი გადის
დეთ? — გვლავ შემიკითხა სადგურის უფროსი. მე
ლიან ჩავაცქერდი თვალეში, მაგრამ ვერ ამოვიკი-
ხე რისთვის ასე დაბეჯითებით მკითხა თანხის რა-
დენობა. მერე ისევ გაბრაზდა და მაგიდაზე დამირტ-
მუშტი:


— რა საბუთი გაქვთ?
— საბუთი ვთხოვე და არასგნით არ მომცა. —
მომცდა კიდევ დაუფიქრებლად და ახლა კი ნამდ-



ლად შევატყვე, რომ სადგურის უფროსმა გულში გა-
ფიქრა: „საცოდავი, ბუქანაკლები ყოფილაო“ და შე-
რალეების კილოთი დამიყვავა კიდევ: — „საბუთი, საბ-
თი ამხანაგო, ყველაფერს საბუთი უნდა“.

სიმღერა მესამე საბუთზე

— ხომ ნამდვილად სამასი მანეთი აქვს ჯი-
ბგირი?
— სწორედ სამასი მანეთი, — არც მეტი, არც ნ-
ლები.
— საოცარია, პირდაპირ საოცარია, როგორ ახე-
ხებს ამდენ ამბავს სამასმანეთიანი კაცი? გასინჯ-
პარგად გასინჯეთ?
— გავსინჯეთ, ყველ-ფერი რიგზე აქვს, შემოსა-
ლიც, გასავალიც, აქტივიც, პასივიც, ბალანს-ბუღ-
სიც.
— კი მაგრამ ეს კაცი რომ ათასნაირ კოსტუმ-
იცვამს, ნუ თუ ეგ ქსოვილები უფრო ნაკლებად მა-
რი საბუთია, ვიდრე უბრალო ქაღალდი?
— არა, მეგობარო, საბუთი არის ქაღალდი. ასე-
საბუთი კი მის შესახებ არ არსებობს.
— საოცრებაა.
ერთ მოშვენიერ დღეს სამასმანეთიანი კაცმა ბი-
„გადაცვალა“, ერთი ოთახი სამოთხიანი ბინაში. —
რა ეკითხებაო, ამბობს სამასმანეთიანი კაცი, ვის
საბუთი აქვს? რა შეუძლიათ დამწამონ?



— შეხედე, კაცო, ჩვენი ქარხნის დაჯავი ვილაცას ტყავს აძრობს  
— ნუ გებრალები, ის ტყავი ჩვენი ქარხნისაა.

— ხომ აშკარაა, რომ სამასი მანეთი ამ საქმეს არ ეყოფოდა?

— აშკარაა, აშკარაა, ჩემო მეგობარო, მაგრამ საბჭოთა საბჭოთა არ არსებობს.


— მეორე უფრო მშვენიერ დღეს სამასმანეთიანმა ვაცმა ძვირფასი როიალი შეათრეკინა ბინაში თორმეტ მუშას—ვის რა ეკითხებაო, ამბობს სამასმანეთიანი კაცო—რა საბჭოთა აქვთ, რა შეუძლიათ დამწამონ?

— ხომ აშკარაა, რომ როიალი სამას მანეთზე ასევე მეტი ღირს?

— აშკარაა, აშკარაა, ჩემო მეგობარო, მაგრამ საბჭოთა საბჭოთა არ არსებობს.

— კი მაგრამ უკეთესი საბჭოთა რა შეიძლება იყოს? როიალი, ეს ხომ ასე ვთქვათ, ხმოვანი საბჭოთაა, დღედაღამ გაბმულად, მომბებრებლად უკრავს: „ამაღამდელი დამეო, ნუ გათენდები მალეო“, „ხამთრის ყინვა არ მაშინებს“.

— ახლა? ახლა რალას იტყვი, ამაზედ უკეთესი საბჭოთა რალა შეიძლება იყოს? რით არ სჯობს იგი



ქალაქის საბჭოს? რკინის საბჭოთა, ფოლადის საბჭოთა, თაგისი ფეხითაც დადის, ვისაც გინდა დაანახებ, თუ თვალში ვერ იხედება საყვირზე ხელს დააქერ, ხმას გააგონებ. მეტი რალა გინდათ? გასინჯეთ, კარგად გასინჯეთ.

— გასინჯეთ, კარგად გასინჯეთ, ყველაფერი როგორცა, შემოსავალ-გასავალიც, ბალანს-ბუღალსიც.

— კი მაგრამ ხომ ჰხედავთ რას ანერხებს სამასმანეთიანი კაცო?

— ვხედავ, როგორ არ ვხედავ, მაგრამ საბჭოთა და ჟღერს და ჟღერს სამასმანეთიანი კაცის ძვირფას ბინაში ხმოვანი „საბჭოთა“: „ამაღამდელი დამეო, ნუ გათენდები მალეო.“

და დაქრის დღედაღამ ქალაქის ქუჩებში სამასმანეთიანი კაცის რკინის საბჭოთა, ფოლადის საბჭოთა და უყივის განვლულებს: „ჩამოდაქით, სამასმანეთიანი მობრძანდებაო“.

საბჭოთა კი არ არსებობს.


აზრასიმონ კიჭუხიძე

### არსენას ლექსი

მცხეთაში არსენა თქელაშვილის აფლავი რაიხაბუხ უყუოდლებოდ მიუტოვებია. გმირის სამარეზე სიმინდი დაუთეს იათ.

მდიდრისათვის გამიხდია,  
ლარიბისთვის მიმიცია!  
დამიფრთხია „სტრუქიკები“  
თელეთშიც და თბილისშიც!  
შენ კი... ჰოი, რა წაგართვი  
ქალაქ მცხეთის მილიციაც!  
ჰე, გამვლელი! ალბად ცრემლი  
საფლავს მისთვის დააღვენთე,  
რომ ეგ გული ვაგიკაწრა  
მოგონებამ მარაბდელზე...  
შენე? მკერდი მოპიჩიჩენეს,  
ზედ სიმინდი დამათესეს!..  
მართალია ჩემი ფიქრი  
და ოცნება იყო გუთნის!  
იყო ყანა—სანუკვარი,  
მაგრამ რა ქნა, „ნაანგა“ ვუთვლი:  
მართლმსაჯულო! აქ საფლავი  
მეკუთვნის თუ არ მეკუთვნის!

გუჩუბან ლეხანიძე



— ეგ არ არის საბჭოთა.  
მესამე კიდევ უფრო მშვენიერ დღეს სამასმანეთიანმა კაცმა არც აციგა, არც აცხელა, გადიხადა 55.000 მანეთი და ავტომანქანა იყიდა—საიდან?—ამბობს სამასმანეთიანი კაცი—ვის რა ეკითხება, ყველამ თავის თავს მოუაროს!



# ჭიტი და ყვანჩალო



ქართული  
ბიბლიოთეკა

(ი ბ ა ზ ი)

1.

ერთი სოფლის ვრცელ მინდორში  
ბებერ მუხის ფულუროში  
ბერი ჭოტი ცხოვრობდა,  
მარტო იყო ობლივით,  
შემოდგომის ფოთოლივით  
სულ თრთოდა და ჯაგრობდა.  
როცა მთვარე წყვს შუქს ფენდა  
ჭოტი უკვე ვეღარ ფრენდა,  
ვერც სტოვებდა ფულუროს,  
ნეტავ შვილი მაინც ყავდეს,  
თვალტანადათ მამას ჰკავდეს,  
ახლა ვიღას უყუროს?!



მარტოდ მყოფი, ავადმყოფი  
სწუხს ლოგინში, მოსდის ოფლი,  
ბოდავს, კენესის ჩქარ-ჩქარა,  
მ ზობლებმა მოიკითხეს  
მიაშურეს მუხის დიდ ხეს  
კაჭკაჭმა და ყვანჩალამ.  
— როგორ ვწუხვარ მეგობარო,  
მსურს ექიმი დავიბარო,—  
ამბობს ყვაგი, ყვანჩალა,  
და კაჭკაჭი ენა-მეტი,  
გრძელს ხვირა და ბოლო-ცეტი  
სადღაც წააჩანჩალა.  
არ გასულა დიდი დრო და  
ავადმყოფის ფულუროდან  
გამოვიდა გუგული,  
ჭოტის შორი ნათესავი  
კეთილი და არა ავი,  
ჩნიკს მიმართა:—თუ გული  
შენ შეგტკივა, დავებმაროთ,  
ან ექიმი მოვუყვანოთ,  
სამანსოვროდ დარჩება!  
ჩნიკვმა უთხრა:—ბრიყვო, მოკვდეს,  
მოსანდენი უნდა მოხდეს,—  
ეს ბინა მე დამჩჩება—!  
სოქვა ჩხკვმა და გუგულს ეცა,  
დიდხანს კორტნეს ერთმანეთსა,  
ატყდა ჩხუბი მაგარი,  
ჩნიკვი ყვირის: რად ხტი ასე,  
ახლა უნდა დამიფასდეს  
ჭოტზე ნაამაგარი.

ჭოტორში რომ წამეტანე  
ავადმყოფს შენ მოუტანე  
ან ბუმბული, ან ჩალა?  
კვლავ მივარდა, არ მოეშვა;  
ჩამოფრინდა, ჩამოეშვა  
კაჭკაჭი და ყვანჩალა.

2

ავადმყოფთან იდგნენ ყვაგი,  
ჩურჩულებდა ყვაგი ნელა,  
წელში გადახნეკილი:  
—თუმცა იყო წვიმა, ქარი,  
მოვიფრინე მთა და ბარი,  
მაღე მოვა ექიმი...  
ჭოტი იწვა სახე-მკრთალი,  
სევდით ჰქონდა სახე თვალი,  
ცრემლს აფრქვევდა გუგული,  
თავზე ადგნენ თითქმის ორ დღეს,  
და პირფერულ ცრემლით მორწყეს  
ჭოტის საწოლ-ბუმბული.

3.

ფულუროსთან იდგა ყვაგი,  
ფერად შავი, გულით შავი.  
ჰა, მკურნალიც მოფრინდა,  
ყვაგმა უთხრა:—სად ხარ, სადა,  
ჭოტს წაერთვა ჭამის მადა,  
შენს ლოდინში მომწყინდა.  
„ექიმს“ მოყვა ბახალეები  
თავის ბარგი-ბარხანებით,  
ფულუროსთან ჩამწყრიდნენ,  
ბინის მოგნის მისაღწევად,  
სიძნელეთა დასაძლევად  
ჩაჩუმდნენ და ჩაწვრილდნენ.  
ბახალეებმა ხის ფოთლები,  
მწვანე ფერის თუ ყვითლები  
დაიფარეს ხვეიდან,  
და ყვაგიცო თავის ქმარით  
ექიმ ყვანჩალადის გვარით  
ავადმყოფთან შევიდა.



აქეთ სინჯა, იქით სინჯა,  
თავს იჭერდა მეტად დინჯად,  
სახე ჰქონდა გამწყრალი.  
აბრუნა და ატრიალა,  
ავყირა და აღრიალა  
ავადმყოფი საწყალი:  
— საქმე მეტად ცუდად არის,  
შეტევა აქვს მრავალგვარი  
და სანამდე დასთოვოს,  
ჰაერისთვის ეს ფულურო,—  
უკეთ ყოფნას არ უყუროთ,  
დღესვე უნდა დასტოვოს.

ჭოტისასე ცუდადყოფნა,  
რომ დაასხა ცხელმა ოფლმა—  
ვიწრო ბინის ბრალია.—  
მაგრამ ჭოტმა სარეცელში  
ასეთ მეზობლების ხელში  
სული... უკვე დალია!!!  
ხის ტოტებზე დაასვენეს,  
იმავე დღესვე გაასვენეს,  
იქვე ტყეში დაკრძალეს,  
თუმც ცხოვრება ფულუროში  
„გადამდები სენის“ შიშით  
ყვანჩალეებმა აკრძალეს.  
მაგრამ როცა სწრაფად ტყიდან




ფულუროსკენ გამოფრინდა  
თვითფული მათგანი,  
ყვაგის გვგმა ზუსტად ახდა,  
მათთვის ბინას აღარ აკლდა  
არც სიგრძე და არც განი.  
თუმც ჩივილს სხეებმა, მაგრამ  
ყვანჩალეები დახვდნენ მაგრად  
და მომჩინებებს რაც უთხრეს,  
თვით მიხვდებით, როცა ბინა  
ნაცნობობით ამას წინათ  
მაინც ყვაგებს აკუთვნეს.  
მაგრამ ერთხელ დამით ციყვმა,  
ჭოტის მოძმემ, არა ბრიყვმა,  
ყვანჩალეები დაკბინა  
უთხრა:—გიცნობთ რა შვილიც ხართ.  
როგორ მოდიოთ, რაც ხართ, ვინც ხართ,  
თქვენ ვინ მოგცათ აქ ბინა?!  
სხვისი ჭირით, უბედობით  
სხვამ იხაროს ცბიერობით—  
არ მომხდარა, არ თქმულა,—  
და ყვაგები, ყვანჩალეები  
სამ დღეს ყვირილ-დაჩხავლებით  
ციყვის მუცელს შთანთქმულა.


4.

გზ, რად გვინდა ჩნიკვი, ყვაგი,  
რად გვჭირდება მათი თავი—  
ან ჭოტს თუ ვინ ებადა,  
ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ამდაგვარი მსგავსი ლაქა  
ჩვენში,—სომ არ ხდება და!!!

პ. გოგიაშვილი



— შიიღებს დღეს დირექტორი?  
— ორივე ხელით.



1. — ხან არავინ ვაჭურებ? — არავინ, ხანა დღეა ვეღოვები და მამათულო კი არ მოხდა ახლა.
2. — გუშინ სიტყვიანი ეს ყრული დაედ და ნუ გეწინა, ამ არ დღეში პენციონის მიგაჯანს.
3. — შესაძლოა თუ გეტყვი კიბაზეც მისა და უვლავანი კარვად რჩება. მენიღლინ? დარტრი ცოლშიცა წავიდა აჯაჯკს, ამ დღეც ჩამოდა და მოგარბევია.
4. — როგორ გეადრება, ავადმყოფობის წინ თუ არ გაფუძო, წენ რა უნდა გეშელოთ. პენციონის მაგარი ექმის განკარგულება სურთ, დარტრი თუ ვერ მოკვებს.
5. — პენციონის გუნდს ვინაწადრდები ვადა ვასე და და ადრ ვარავი. ცოტა მოთამაშე, ახალ პარტისა მივიღებ.
6. — ფარა, ადრ ხანა და ჩაქვს თუ მოგარ, უნა ვინ ვარავი მზად იქნება...

### კანკარა ამბები ილის სხობაზედ

#### ილია და გვამის მართვა

საგურამოში, ილიას რამდენიმე მეგობარი გლეხი ჰყვოდა. მით შორის ყველაზე დახმარებული მოეცათ იყო მიახეტი მართია. ის ეძღვებოდა გლეხი იყო.

ერთხელ ეს მართია მივიდა ილიასთან, სესხად ფული სახარეა.

- მართებ, არა ვიცი, ფულს მესთებები? — უთხრა ილიამ.
- რად გეცინოს, მართია?
- იმად, რომ შენ ჩემზე მდიდარი ხარ და მე კი ფულსა მხოვ.
- მართალია, მე უსწებ მდიდარი ვარ, მაგრამ ფულით კი არა.
- მაშ რითი?
- იმ აზრით, — და მართება ხელს დააღო თავის ქალამანს, — შენ რომ იმ გათვალვებული ფუნსაქმელ გავიკვდები, ჯავრით აღარ დავკნებოდა. მე კი ამ ქალამანს როცა მინდა, მამან ამოვიასან, არც დავლანდები, არც მიღს დავიკვებ. აი რითი ვარ შენზე მდიდარი!.. ილიას გაცენია და ხელს გავსართა მართია.

#### სწინავე მანძი

ერთხელ, ილიაზე დადეს, საგურამოში, სხვა სტუქურებთან ერთად ილიას მტყუთიდან ძველი ძეგლი, კოტე გედეგინიგოლოც ეწვია — თავისი ასულით, ტყუთით.

მეორე დღეს, როცა სტუქურებსა დაშლა იწყეს, ილიამ არ გაეშე. კოტე, რომელიც ცხენზე გაისტუმრეთ, დარით და მეორე აქედან ხუთი მტლეთი გაეფარებოდა.

სტუქურებზე გელთად მამანძელს უარი ვერ უთხრა, რამდენიმე დღის დარჩენის ასულით ერთად.

წასვლის დროს ილია მოვიდა და სტუქურებზე გზოში გამოვიდნენ, მათ იმ მტლს ნაცულად ირა შეკახებული ცხენი დახვდათ.

#### ახალგაზრდა ქალმა გავიერებოთ იკითხა:

- ეტლი სადაა?
- ეტლი გავიკვდა, აი ამ ცხენებთან გავმზავრებოთ, პატარა ქალბატონო, — დიდილით უთხარა ილიამ.
- როგორ? — შესხება ტასიმ, — ამ უსწებ ცხენზე უნდა შევედ მე არ შემიძლიან ილიას გაცენა:
- როგორ? ნუ თუ არ იცნობთ? მე სულ ადგილი სამსახურით ეხლავ გავიკვლიათ!
- და ცუდს მიმართა:
- ბატონო ცხენი გთხოვთ გააკნოთ ქალბატონო ტასიკო... მეორე ქალბატონს მოგბრუნდა:
- ხად გიცინათ? ესლე უკვე თამაშად შეგიძლიათ შევედეთ. კვილას სიცილი აუტყდა.
- ილიამ ხელი მოჰკიდა ქალს და თვითვე უშველა ახლად გაცნობილ ცხენზე შევედა.

#### თამაშად

ერთხელ საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ მეგობრები პრაგოლორა აღ. ხანაშეკოლი, არტურ ლისკო, ნიკო ხიხანაშვილი მისი მუდელ — მამიათა ელისაბედ ზრეკეზიშვილი, აგრეთვე სხვები. ერთი ჯგუფი სტუმრები, ილიასთან და მის მუდელს ილიასთან ერთად ითავებდნენ, სუბარაოდნენ.

უკვე ილიამ მიუბრუნდა, იმ მკითხა შორის ზოგიერთი მოსაესალა:

- ლესტი სადაა? — ჰკითხა მან მუდელს.
- ოღო ვრე იგი, მას იცნა, ილია თამაშის კითხულობს და მშვიდად უთხარა:

#### — შეაფშა შენაშე!

ილიამ არაფერი შეიპაწინა, ადგა, ოთახში შევიდა:

- თათავე შეინა და დაეკრეფა. — ღამილათ გადავლახარა რა? ოღამ გვერითი მჯღამ ცლსამედ ზრეკეზიშვილის.

**ილია და აბაძიშვილი**

სადაღამაშეული ბანკის წევრთა საზოგადო კრებაზე ილია ქვეყნის მოწინააღმდეგეთა ბანკიდან გამოვიდა გენერალი ხიმშიაშვილი და სხვათა შორის თქვა:

- ქვეყნად ძალს ადენს კრებაზე, რომ თავისი აზრები მოახიფოს თავით.
- ილიამ მშვიდად უთხარა:
- მე არ მესხის რა ძალაზე ლაპარაკობს თავილი ხიმშიაშვილი? თუ ის გლისონობს ლოლიკის ძალს, მაშინ ნება მომეცით განვიცხადო, რომ ასეთ ძალს ევროპიათი მძიმე არტურია ვყო შეარვესო.

კრებაზე დამსწრეთა შორის გელანა სიცილი ატყდა, გაუბაღბელთა თავილი ვაჭრდა:

- ის არტურორის გემრალი იყო.

#### ილია და ნიკო ხიხანაშვილი

ილიას ძალიან უყარდა მოსწრეული სიტყვა-პასუხი. თითონაც მავილა ენა ჰქონდა, სხვის მოსწრეულ სიტყვაზედაც გულანად იცინოდა.

მისი მეგობარი ნიკო ხიხანაშვილი ენაშეული კაცი იყო. ერთხელ ილია თავის მეგობრებთან საგურამოს მიწვევაზე ილა, სტუქურებს შორის იყვნენ რაველ ერასთავე, ნაწო გაბუნია-კაპარაია, არტურ ლესტი, ნიკო ხიხანაშვილი და სხვ.

ილია და ნიწილი სტუქურების იტლში ახსდნენ, დანარჩენები ცხენებით მილაოდნენ. ნიწო ხიხანაშვილი ცხენზე მჯღო, იტლში მყოფ ილიას მიუხალეულად და განვტ დღის მოქრეხება მდებლად თავი დაუტრა, მისესლა:

- ბატონს ვახლავარ!

ილიას გაცენა და უთხრა:

- შე, ნიწო! აფუსს, რომ შენ ჩვენი მეფეების დროს არ იყავი! რა კარგი კარის მასხარაობა იქნებოდა!
- მაშინ საგურამოში შენი კი აღარ იქნებოდა, ჩემი იქნებოდაო, — უთხარა ნიწომ.

ცხადია რის თქვეს უნდოდა ნიწოს: დღეცოცხად და მამული თვადღეს სწორედ მასხარაობით და მოქრეხელობით ავეო შექრალი მეფის კარზე და არა სხვა რაიმე ღირსებოთ ან დამსტურებოთ.

ილიამ ბევრია იცნა ნიწოს კანდიერ, მაგრამ მოსწრეულ პასუხზე.


#### შვილობი

ილია საგურამოში სახლს აშენებდა. თავს ადგა ხელმასნებს, არობდა.

ახალგაზრდა მეეტლე ილია ჩალაურბო უთხრა:

- კინაზო, ე ამოდენა სახლს რომ იშენებ, რად გინდა, შვალი შენ არ გავებს და ძირი...
- ილიამ მას აღმატურად გადებულა, გაცენა.
- აბა რითი ამ იქნება!
- ჩალაური მივიდა, ილიამ ყურბო მოვიდა ხელი და სიცილით დარტყმა:
- შე კამერო, შენ რა გეცმის. მე იმდენი შვილები მყავს, რომ ეს სახლი არც კი ფეოვო.





— ჩვენი ქუჩა შეაკეთეს. არ გჯერა? გეუბნები, შეაკეთეს მეთქი და მერე როგორ? ოღრო-ოღრო ადგილები ამოავსეს, ასფალტი მოასხეს, ტროტუარზე თლილი ქვა დააგეს, სარდაფების საშუქებს ცხაურები გაუკეთეს. ახლა ჩვენი ქუჩა მორთულ პატარადასა ვაგს. თვალდახუჭულმაც რომ გაიარო, ფეხი არ მოედება არაფერს.

ასე აღტაცებით მიმართა ერთ დილით დათიკომ თავის მეგობარს—სიკოს. დათიკოს სამსახურიდან ღამით უხდებოდა სიარული და ხშირად განიცდიდა დანგრეული ქუჩის გავლენას: ხან ორმოში ჩავარდებოდა, ხან ფეხსაცმელს მიხევედა ქვაზე, წვიმის შემდეგ კი ისე ამოგანგლული მივიდოდა შინ, თითქოს კაობის ამოშრობაზე მოწაობდა.

— დიდი ამბავი თუ თქვენი ქუჩა შეაკეთეს, — უგულოდ უპასუხა სიკომ. — შიგ ცენტრშია და აქამდე უნდა შეეკეთებინათ.

— საქმე მარტო შეკეთება როდია. — გაიცინა დათიკომ. — საქმე ისაა, რამ გამოიწვია შეკეთება. გაიმბო აგერ. მარგოს ხომ იცნობ?

აი, ჩვენთან რომ ცხოვრობს, ნათესავი სტუდენტი ქალი, ჩემი ცოლის მამიდაშვილი. ხუმარა და ცელქი გოგონაა. გადაეკიდა თურმე არჩილს. ჰო, ჰო, ის არჩილი მუდამ ავტოში რომ ზის. აბანოში ავტო, კინოში ავტო, თეატრში ავტო, სტადიონზე ავტო, დასაფლავებაზე ავტო... ერთი სიტყვით, არჩილა მხოლოდ საწოლ ოთახში არ შედის ავტოთი, თორემ... ჰო და, ეს არჩილა გაუარსიყდა ჩვენს მარგოს. მართალი გითხრა, ცოტა ხანშიშესული კია და მაინც და მაინც არ უხდება ყმაწვილობა, თორემ სხვა მხრივ, ცუდი კაცი კი არაა არჩილა. მოეწონა მარგოსაც და დანიშნეს პაემანი. პაემანი ჩვენს ქუჩაზე დაუნიშნა მარგომ, ხალხი ერიდება ამ ქუჩას, ოღრო-ოღროსი ეშინია, თან არც ერთი ნათურა არ ანათებს და არავინ დაგვინახავსო. არჩილა ავტოთი მოადგა ქუჩას. ავტო ხრამში ჩავარდა. ჩამოვიდა ჩვენი რაინდი ავტოდან და არხენად გაემართა დანიშნულ ადგილისკენ. ღამის ბურუსში მარგო რომ შენიშნა, ფეხი აუჩქარა. უცებ საშინლად დაიყვირა და გაჰქრა კაცი.

— როგორ თუ გაჰქრა? — გაუკვირდა სიკოს.

— როგორ და სარდაფის საშუქში ჩაუვარდა ფეხი. ნაწვიმარი იყო და შიგ თურმე ტლაპო იდგა. არ გინდა ამისგლა? ვერ ხეხა და ვერ ამოვიდა. თანაც სატრფოსი რცხვენია. მივარდა მარგო, ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ ამოიყვანა. დაიწყო მარგომ კვილი, უშველეთ, კაცი ჩავარდა ორმოშიო. გამოცვივდა ხალხი, მოიტანეს ფანრები, მოიტანეს კიბე და ამოიყვანეს ტალახში ამოგანგლული რაინდი. ასე ჩემალათ პაემანი.


— ვერ გავიგე რა შუაშია პაემანი...

— სწორედ რომ პაემანმა გვიხსნა, — გადაიხარხარა დათიკომ. — მეორე დღესვე მოაყარეს მუშები და მანქანები ჩვენს ქუჩას და ერთ კვირაში შეაკეთეს. ახლა პირდაპირ ბედნიერები ვართ ჩვენი ქუჩის მცხოვრებნი.

სიკოს გაეღიმა, პაპიროსი გააბოლა და ნატვრით ამოხდა:

— ნეტავ ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდეს ის მარგო! ან იმდენ ვალს დაგვდებდეს, რომ მორიგი პაემანი ჩვენს ქუჩაზე დანიშნოს, ეგებ ჩვენს ქუჩასაც ეშველოს? დიდი საქმეა დიდი კაცის პაემანი...

როდინო მორძია



ბორჯომის ექსპრესით ხშირად მოგზაურობენ უბილეთო მგზავრები. ისინი ათასგვარ ეშმაკობას მიმართავენ, რევიზორების რისხვის ასაცდენად.

ჩვენმა საკურორტო კორესპონდენტმა ამხ. ვ. მთაწმინდელმა ამ სურათით აღბეჭდა ერთერთი ასეთი მგზავრის მოხერხებულობა. მგზავრი ხელოვანი აღმოჩნდა და როცა ექსპრესში რევიზორმა ჩამოიარა, მისი თვალის ასახვევად ასეთ ხერხს მიმართა: პიონერთა ბანაკისკენ მიმავალ ბავშვების წინ დადგა, ხელი ლოტბარით გაშალა და სიმღერა წამოიწყო.

რევიზორს, რათქმუნდა, უბილეთო მგზავრი აღარ შეუწუხებია.

გამოსლის წინ

ნახ. ღაღისა



— ხვალ ჩემი ნათესავი მოვა შენთან გამოცდაზე. აბა შენ აცი.

— აქვს რამე?

— თავში?

— თავში კი არა, ჯიბეში, თავი რაში მეკითხება.



— ვაჰ, ვე როგორი საქმეა, დედი, კანდისტორისა გეშინოდა ცოცხალი გოჭი არ მინახოსო და არაყი გოჭს დააღვეინე? აზირ კანდისტორისთვის დაგელევიინებინა?..

# უ ს ი ა მ ო ა რ ა კ ი

ორი ხანშიშესული გოჭი შეამხანაგდა და თქვეს:

— ცხოვრება გვინდა, ჩემო ღრუტუნია, რა ვიღონოთ?

— არტელი ჩამოვაყალიბოთ, ჩემო ქუცუნო! კარგად რომ იცხოვრო, ამაზე იოლი ხერხი არ არსებობს, ივაჭრე როგორც გინდა, იყიდე და გაყიდე. გააკეთე ნივთი, დაადე ოფიციალური ფასი 8 მან. და 20 კაპეიკი, გადამალე თაროს ქვეშ, მოვა მუშტარი და უთხარი: „რა ვქნა, ძმობილო, ერთი ცალი-ლა გვაქვს, საგანგებოდ შეკვეთილია. ძვირი დაგვიჯდა, ხუთი თუმანი. შენში ხომ ფულს არ მოვიგებთ, თუ გინდა წაიღე“. წაიღებს, მაშ რას იზამს...

თქვეს და შეასრულეს, არტელი ჩამოაყალიბეს.

— კი მაგრამ რა გავყიდოთ, რა გავგაჩნია? — თქვა ერთმა.

— უნდა გავაკეთოთ რამე. შენ რა ხელობა იცი? — იკითხა მეორემ.

— მე, ჩემო ღრუტუნი, შემოძლია ჯაგრისაგან ფუნჯები გავაკეთო.

— სულელო, საკუთარ ჯაგარს თუ გავყიდი, არტელი რალად მინდა. ისეთი რამ მოვიგონოთ, რომ ჩვენი არაფერი მიდიოდეს.

— სხვა რა მოვიგონო, მე მიწის თხრის მეტი არაფერი შემოძლია.

— გიშველა ღმერთმა, მაგაზე კარგი რა არის. მიწა მოვთხაროთ, ავზილოთ და ქოთნები გავაკეთოთ, რა ჯობია ნარცხით სავსე ქოთანს!

— კი მაგრამ ჩვენ რომ ქოთნების გამოწვა არ შეგვიძლია?

— მაგას დავეძებ? მეტი რომ არ იქნება, არ იყიდიან? დაიწყო გახურებული მუშაობა. ერთ თვეში აივსო მაღაზია ქოთნებით.

მოდის მუშტარი და კითხულობს:

— სხვანაირ ქოთანს ვერ გამოიკეთებთ? მე ასეთი არ გამომაღდება.

— რატომაც არა, — უპასუხებს ქუცუნა, — ჩვენი ხელობა არ არის?

— ცოტა პირვიწრო ქოთანი იყოს, ისეთი კი არა ღორებს რომ სჭირდებათ სალაფავის საქმელად, ჩვეულებრივი, ადამიანური. რა დამიჯდება?

— ათი თუმანი.

— თქვენ ხომ არტელი ხართ, რა არის ასე ძვირი!

— კი მაგრამ არტელს ცხოვრება არ უნდა?!

— ეს ყოვლად შეუძლებელია, მომეცი თ საჩივრის წიგნი!

— საჩივრის წიგნი ღრუტუნისა აქვს. თავმჯდომარე ის არის.

— სად არის ღრუტუნია?

— საქმეზე წავიდა.

გაწბილებული მუშტარი მიდის. დახლქვეშ დამალული ღრუტუნია გამოძვრება და იცინის, კვდება სიცილითა.

მაგრამ აი თურმე რა მომხდარა: მუშტარი ინსპექტორთან მისულა და უჩივლია. გამგეობის ინსპექტორი არტელს მიაღდა:

— რას გავს აქაურობა, ამ წუთში დაგკეტავთ!

— რა გაბრაზებს შე კაი კაცო, შენც ხომ კაცი ხარ და ცხოვრება გინდა. სხვა არტელში ნაყიდი კარგი გამომწვარი ქოთნები გვაქვს, წაიღე, სახლში გოჭები გეყოლება, სალაფავის დასადგმელად გამოგადგება.

— ქოთნები ისეც ბევრი დამიგროვდა, რად მინდა! — ამბობს ინსპექტორი და „გადამჭრელ ზომებს“ ლებულობს...

\* \* \*



ეს ამბავი მართალია თავიდან ბოლომდე მოგონილია, მაგრამ მაინც გააჩნია თავისი მორალი:

თბილისში კარგახანია იშვიათი საშოვნო გახდა ყოველგვარი ქოთანი. რაც შეეხება ღორის ჯაგრისაგან დამზადებულ კბილის გამოსახებ უბრალო ხელსაწყოს, ან ოთანის გამოსაგველ ჩვეულებრივ ცოცხს, ამაზე ფიქრობს თუ არა ვინმე, ჯერაც არ ვიცით.

გ. ივანიშვილი



ნა. დონისა



„გამიყვანეს ადგილკომში დიდი თხოვნით, მოფერებით, ტანსაცმელის შესაძენად დამაყარეს ორდერები. არ მაქვს ფული, რით დავიხსნა, აქეთ ვეცა, იქით ვეცა,

„სესხად“ პურის გამყიდველმა მომცა ასი ჩერვონეცი. გაიხარე ჩემო გულო, გაკეთებას ამით ელი!..“ საწყობს „დროგი“ მიაყენა,

დაუტვირთეს ტანსაცმელით. მიაშურა საბურთალოს, ფული ბლომად დააგროვა, ასეთ კაცის განკითხვის დღეც, რა თქმა უნდა, მალე მოვა.

ი. სტალინის მიერ

წ უ ნ ი ა

სტალინის სახელობის სანაპიროზე გაშენებული მშენებელი პარკი მოუვლელია, ის საგსეა ყოველგვარი სიბინძურით, ალაგ-ალაგ დაკაობებულიცაა.



ბაშაში: უწინ ქალაქის განაპირას ვცხოვრობდი, ეხლა კი ცენტრში ვადმოვდი. ბინით და ადგილით ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ცუდი სუნი არ მაწუხებდეს.

საკიოზადარ კაკიოზადი

ახალი აბრკადაბრა

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საბინაო სამმართველომ გამოუშვა ნაბეჭდი სტანდარტული ხელშეკრულება, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო სახლებში მცხოვრებ მდგმურებთან დასადებად.

ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლებში ასეთ „მარგალიტებს“ ვკითხულობთ:

„გადასადი,“ „სალმმართველობა ვალდებულია“, „შედებენ“, „წარმოაოგინოს“, „ხელსუფლებნს“, „წეხემი“, „გამოშვებუდი“ „სიცხვდრაბელი“, „დაქირვევის“, „ნორვათან“, „ოთახივ“, „გაემავლობაში“, „როველიც“, „კახუხისმგებლო“, „შუსვურობლობის“ და სხვა ასეთები, რომლის მთლიანად ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს.

ხელშეკრულების მე-4 მუხლი ჰლაღადებს, რომ: მდგმური ვალდებულია „შეინახოს სახლმმართველობა კულტურულ მდგომარეობაში“.

რა შუაშია აქ მდგმური? ანდა როგორ უნდა შეინახოს „ყოვლისშემძლე“ მდგმურმა კულტურულ მდგომარეობაში სახლმმართვე-

ლობა, თუ ამ უკანასკნელს კულტურის არავითარი ნიშანწყალი არ გააჩნია?

რა ჰქვიან საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას: უცოდინარობა, მდგმურების მასხარად აგდება, თუ...

გამომცდელეზი და გამოსაცდელეზი


თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დოცენტმა ასეთი უწყება მიიღო სახლში:

„დოც. [Redacted]“

ა. წ. 17, 18, 19, 20, 21, 22 ივნისს, დილის 9 საათზე აუღ. № 95-ში დანიშნულია თქვენი გამოცდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში გთხოვთ გამოცხადდეთ დაუგვიანებლივ.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მაკიერ (ხელმოწერა გაურკვეველია)

გამოსცადეს თუ არა აღნიშნული დოცენტი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, ნიანგს ამის შესახებ დღემდე არავითარი ცნობა არ მოეპოვება, ის კი შევიტყვეთ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთ თანამშრომელს არ აწყენს ჩააბაროს გამოცდა... მართლწერაში მაინც.



— თეატრის ფოიეში ამ პიესას თქვენ ძალიან აძაგებდით, გაზეთში კი ქებას ასხამთ.  
— იმას გულით ვამბობდი, წერილი კი ანგარიშით დავწერე.

აბს. ნიანგო!

ამა წლის გაზაფხულზე, მედსანშრომის პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გაეხსნა ახალდაბაში პიონერთა ბანაკი. ოქმი გააფორმეს და ბანაკის დირექტორად გააგზავნეს ამხანაგი გ. დირექტორმა ჩაატარა ყოველგვარი მოსამზადებელი მუშაობა ბანაკის გახსნისათვის და თბილისში დაბრუნდა შტატის შესადგენად. მაგრამ სხენებულ პროფკავშირის კეთილი განზრახვა ჰქონოდა ასეთ „წვრილმანზე“ არ შეეწუხებინა ბანაკის დირექტორი და სათანადო უფროსთა სათანადო ნათესავეებისაგან შემდგარი შტატი მზად დაახვედრეს.

ამხანაგ გ-ს, რასაკვირველია, არ ესიამოვნა ასეთი „არამკითხეობა“ და სათანადო საყვედური გამოსთქვა.

იმავე დღეს დაიბარეს აბს. გ. პროფკავშირთა ც. გამგეობაში და წინ ანკეტა დაუდეს.

— თქვენი პროუესია?

— აგრონომი და პედაგოგი.  
— რამდენი ხანია პედაგოგად არ გიმუშავიათ?

— ხუთი წელი.  
— მაშ თქვენ ბანაკის დირექტორად არ გამოდგებით.

— კი მაგრამ მე ხომ ამ ხნის განმავლობაში წითელარმიის ვიმყოფებოდი.

— მერე? ბანაკი ფრონტი კი არ არის, ბავშვებს ზარბაზნის სროლას ხომ არ ასწავლით?! და აბს. გ. იმ წუთშივე გაანთავისუფლეს ბანაკის დირექტორობიდან.

როგორ ფიქრობთ აბს. ნიანგო, შეუძლიან თუ არა ერთი პატარა ბანაკის პატარა დირექტორს ერთად შეასრულოს მისი უფროსებისა და მათი ნათესავეების აგარაკზე წასვლის ეშხით აშლილი კაპრიზები?

რაუდენ ჯღამაძე


ამ წერილს მესხეთის ქალაქ ახალციხიდან გიგზავნი. საქმე იმაშია, რომ აქაურ მცხოვრებლებს თქვენი სტუმრობის დიდი სურვილი აქვთ. თუ ჩამობრძანდებით, პატივისცემა ჩვენზე იყოს, წყლის მაგიერ სულ ღვინოს გასმევთ. (წყალზე ცოტა ქესატათა ვართ).

მხოლოდ ერთ რამეში უნდა გაგაფრთხილოთ, პატივცემულო ნიანგო: ჩამოხვალთ თუ არა ახალციხეში, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ჩვენი სასტუმროს „მესხეთის“ გარეგანი სილამაზე. არამცდარამც შეგნით ფეხი არ შედგათ, თორემ საჯაყი საქმე დაგემართებათ: ან ფეხს მოიტენთ საღმე, ანდა ისე დაითხუპნებით, მტკვარიც ველარ გაგრეცხავთ. მე ვიცი თქვენი ხასიათი, გული მოგივათ და იკითხავთ, გასულ წელს სასტუმროს რემონტისათვის გადადებული 60 ათასი მანეთი რაში დაიხარჯაო, მაგრამ სასტუმროს დირექციას ამისათვის სცალია? 80 ოთახიდან 60 საპატივცემულო მუდმივ „სტუმრებს“ უკავიათ და მათ ხომ მოვლა და მზრუნველობა სჭირდებათ. სასტუმროს გამგე ასეთი საყვედურებით ახრჩობს მუდმივ „სტუმრებს“: „მე თქვენზე ვზრუნავ, მაგრამ ჩემზე ვინ იზრუნებსო?“

იქნებ თქვენ მაინც იზრუნოთ სასტუმროს გამგეზე, პატივცემულო ნიანგო, ამბობენ ჰაერის გამოცვლა სჭირდებაო.

ნოე რაჭველი

გაკვირვებული




— საკვირველია, სწერია „საჩაიე“-ო და რატომღაც არაყს კი არ ჰყიდიათ.



1. — ქუჩა უნდა მორწყო და იხე დავავო, ამტვერება როგორ შეიძლება! — შენიშნეს მეგზოვე ისახს.



2. — ნატატარს მოხარწყავად რომ ხარჯავ, როგორ შეიძლება. ხომ არსებობს დადგენილება, რომ მოწყვეაზე მტკვრის წყალი უნდა იხმარო. ნუთუ ეს ვერ შეიგნეთ? — კვლავ შენიშნეს ისახს.



3. — ეს გაყვანილობა მხოლოდ სახანძრო დაცვისთვისაა განკუთვნილი, მეგზოვემ ეს როგორ არ იცო!



4. — შემიშვი, ძმობილო, მტკვარზე მივდივარ მოსარწყავი წყლის მოხატანად. — ტრამვაი ცისტერნი ხომ არ არის, როგორ გეკადრება! — ცივი უარი სტიციცეს ისახს. მეზ რა ჰქნას პეპელამ?

ალისტრახოს უფროსმა ვაჟმა რაყდენმა ცოლი შეირთო. მამამ შეიღს ქორწილი გადაუნადა. დიდძალი ხალხი შეგროვდა. ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ სტუმრები. რამდენიმე ათეული თემა განიხილეს, მრავალ საკარბოროტო საკითხს შეეხნენ, ორი სამი ათეული ქორი ითქვა, მთისა და ბარის ამბები ჩამოათავეს, მაგრამ არ იქნა და არ დაიწყო ვაზში.

— დამის 12 საათია, ალისტრახო, გაშალე სუფრა, ამ ხალხს შიმშილით ნუ მოკლავ. — თითქოს ხუმრობის კილოთი უთბრა მასპინძელს მეზობელმა ნიკომ.

— ცოტა კიდევ დაგიცადოთ, ტოლუმბაშს ველი და ჯერ კიდევ არ მოვიდა.

— ვისი კანდიდატურა გყავს განზრახული?

— ჭკუასელის. — შე კაი კაცო, ის ჭკუას ელის, ის ჭკუა მას მოუვა. შემდეგ აქ მოვა... ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. დავიწყოთ ქეფი და მე დავდგები ტოლუმბაშად — კვლავ ეხუმრა მეზობელი.

ალისტრახომ ტოლუმბაშის მოსვლას მაინც დაუცადა. როგორც იქნა ტოლუმბაში მოვიდა და ქორწილიც გაიმართა.

ვარდენ ჭკუასელი მართლაც ნამდვილი სატოლუმბაშო კაცია. მან ქართული ადათისამებრ პირველად საკმაოდ მოზრდილი ყანწი აიღო ხელში და „მეფე-დედოფლის“ სადღეგრძელო გამოთქვა.

— დიდად პატივცემული საზოგადოება! — დინჯათ დაიწყო მან. — ჩვენ დიდებულ ოჯახში ვიმყოფებით და დიდებული საზოგადოებაც გახლავთ აქ. ჰო და, დიდებულადაც უნდა გავატაროთ დრო. ამისათვის სმენა იყოს და გავიგებო. ყველას კონტროლი და ყურადღება მე არ შემიძლია. ვისთანაც გადახვალთ ალავერდს, იმას სასმისები დააცლევინეთ. ღვინის ერთი წვეთიც არ უნდა დარჩეს სასმისში. ასე და ამრიგად, დავიწყოთ სადღეგრძელოები.

— რაყდენ და დარეჯანი — მიმართა მან ახლად დაქორწინებულთ — თქვენი გაბედნიერების სადღეგრძელო იყოს. იცოცხლეთ მრავალქამიერ, გაიხარეთ და გამრავლდით. „სახელოვანი დედის“ პირველი ხარისხის ორდენი მიგელოს ბიძია დარეჯან. შეიღები უნდა გაზარდო ჩვენი ქვეყნის სასახლოდ. პირველი ფეხბურთელი იყოს, პაიჭაძესაგეთ ფეხმარდი, მეორე — მოჭიდავე, კობერიძეზე უფრო მაგარი, მესამე — მორბენალი და მსტუნავი, გოციელის ქალისათვის ეჯობებინოს, მეოთხე — მომღერალი, გამრეკელზე ბრწყინვალე ხმა ჰქონდეს, მეხუთე — მოცეკვავე, ჰაბუკიანზე უშესანიშნავესი, მეექვსე — სოფლის მეურნე, ქიონია სარსანიანზე მეტად სახელოვანი, მეშვიდე — ქორუბი, მუხამეზე გამბედავი, გამჭრელი და გამკვეთელი, მერვე — მფრინავი, მეცხრე — პიანისტი, ხოლო მეათე — პოეტი, მწერალი და კრიტიკოსი, ყველა ამათი გამლექსავი, შემქმები და გამაქრიტიკებელი.

გისურვებთ სიმდიდრეს და დოვლათს, მილიონერ კოლმეურნეობასაგით. ურთიერთ სიყვარულს ტარიელსა და ნესტან-დარეჯანსაგით, ჯანის სიმართლეს გქონდეთ ყველას და პენიცილინი არ დაგჭირვებოდეთ.

— აბა ერთი მრავალქამიერი წამომიწყეთ, — შესძახა დასასრულად ვარდენ ჭკუასელმა და საესე ყანწი უსუნთქებლივ დასცადა.



დილამდე გასტანა ქეიფმა. ბევრი იმღერეს და იცეკვეს. ზოგიერთი დათვივით დაჯანჯალვდა, მაგრამ მაინც ცეკვავდა.

ერთ-ერთმა სტუმარმა ქართულ მაგიდას საწარმოო თაბირი უწოდა და ამ დებულების დასამტკიცებლად ერთსაათიანი მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა. მისმა სიტყვამ ისე იმოქმედა, რომ რამდენიმე კაცს სუფრაზე ჩაეძინა კიდევც.

ტოლუმბაშს სადღეგრძელოები შემოეღია. საბოლოოდ ბახუსმა მასზეც თავისი მოქმედება გამოამყვანა, მაგრამ ვარდენი თავის საპატოო თანამდებობას მაინც არ ეშვებოდა და უთავბოლო სიტყვების კორიანტელს აყენებდა. მან უკვე აბსტრაქტული სადღეგრძელოები დაიწყო.

— ბატონებო, ბატონებო! ყოველ საქმეს თავისი დასაწყისი აქვს და თავისი ბრძნული დაბოლოება. ესე იგი გოუმარჯოს დაწყებულის დაბოლოებას. ჩვენ ვართ და კიდევაც უნდა ვიყოთ... და ვიქნებით ისე, როგორც ეს ჩვენს კეთილის მსურველებს გაუზარდება. კეთილის მსურველები კი — თქვენც იცით ვინ არიან, ესე იგი ისინი ცოტანი არიან. მტრები ბევრია. მტერი რას დაგვაკლებს ჩვენ?! დაკლება მათთან იყოს, ჩვენ კი შეგვემატოს... ეს ჩიის ჭიქები და თუ გნებავთ ყანწებიც. შეგვემატოს და ამით დავტკებთ. სიკბო მრავალფეროვანია, სმაც მრავალფეროვანია, ზოგი სვამს და ზოგი არა. ასე არაა?.. ასეა საერთოდ, საერთო, საზოგადო და პირადი ერთი და იგივეა. ჩვენც ერთი და იგივე ვართ. ჰო და, ყოველ კაცს თავისი აზრი აქვს და ამ აზრს მივსდევთ ჩვენ. ესე იგი გოუმარჯოს ჩვენს აზრს.

— გოუმარჯოს, მარა, ახლა აქ კიდევ მოეზოვება ვისმეს, ჩემო ვარდენ, ეგ საქონელი? — შემოეხმაურენ სუფრის ბოლოდან ვარდენს. ტოლუმბაში შესდგა და სუფრას გადახედა. ჯმრავლესობას ჩასძინებოდა, ზოგიც სოვლემდა, ხოლო ვინც „გადარჩენოდა“ მის სიტყვას — მაინც აღარ უსმენდა.

— შენ გენაცვალე ჩემო გაბრიელ — ვანტანგურად დამიცალე, — შესძახა მან ერთ-ერთ გადარჩენილ თანამესუფრეს. — ეს გოუმარჯოს ჩვენს სიმზიზღეს! — და როცა უკანასკნელი სადღეგრძელოც მიიყუდა, ვარდენი მოკვეთილივით დაეშვა სკამზე და ხვრინვა ამოუშვა.

1. თავმჯდომარე სორბალს თესავდა და ნახევარს ზირში იურიდა: „უბი თუ მოსავალი სხვამ აიღოს“.

2. კაცის სისქე რომ ჭამასე კვიდოს, საწუობის გამკე სწილოს დაეტოლებოდაო.

3. ვირს თუკინდ ზროხელები გაუკეთო, ქათამი მინც უკეთ გაფრინდებაო.

4. — შიოსა შიასო.

— კვლავ არტელშიაო?

— აღარ ითვლებოა.

— მას რა იქნებაო!


5. „მამალო, რომ ყივი თვალებს რად ხუჭავო“ და „ნოტები შეზირად ვიცისო“...

6. კაჭკაჭს ბუღბუღი შეუკვდა და „კომპოზიტორო“ — ს უმანდაო.

7. მასწავლებელს უთქვამს: ჩურჩხელას ერთიანი ჭკავსო, მაგრამ ჩურჩხელას ხუთიანი იშოვისო“.

8. კონდუქტორი საკუთარ ცოლსაც კი მეტ ზატისს სცემს, თუ უბილეთობაო.

შეკრიბა 3018



— სად მოძვრებით, თქვენც ხომ ინვალიდი არა ხართ!  
— ჯერ არა ვარ, მაგრამ აი თუ უკანა ბაქნიდან ავძვერი, მაშინ კი აუცილებლად ვიქნები...  
—

ხევსურთ გვიშველე ნიანგო!  
ეებდა საქმე ჭირსაო...

აბეჩავ ხევსურთ ვაჟებო, მორთულნო ხმლით და ფარითა, თქვენი წერილი მივიღე, ავიესი ცოდო-ბრალითა. მანდ ხიდი გაგფუჭებიათ, რა გიპასუხოდ ბარიდან? თქვენ იწერებით ვაჟებო: „გზები არ გვაქვსო ამდენხანს, ხიდი კი—ლულის ჭალაზე რაღაც განგებამ ჩატეხა, ზედ გასვლაც სავალალოა, ჰკილია ერთი ფიცრითა, როცა ცხენებით გავდივართ, სულ მუდამ შიშით ვიწვითა, როცა კი თხოვნით მივმართავთ ჩვენს თავმჯდომარე წიქასო,



მაღელვებ გამოგვისტუმრებს—გვეტყვის უცნაურ იგავსო. ეს არც ვაჟის წიქაა, არც თავს ჩაჩქანი ხურია, აქ საბჭოს თავმჯდომარეა, სადაც სოფელი ღულია. სამუშაო დღეს გვეყვინან:—ღღეს არ ვმუშაობთ, ვისვენებთ.— წავა და თავმჯდომარე კი—ყელს სადმე/ლუდით ისველებს.“ გადავიკითხე ხევსურნო, თქვენ რომ მომწერეთ უსტარი. წიქა რად შვრება მაკ საქმეს?—ვინა ჰგონავის უშტარი, მიიღეთ ხევსურთ შვილებო, პასუხი თქვენი წერილის, წიქა თუ ასე განაგრძობს, დიდხანს საბჭოში ვერ იგლის.

წინააღმდეგ

ნ კ ი ვ უ რ ზ ე ბ ი

„გამოასწორა“

— მშვენიერი პიესაა, მინდა პირადად გავეცნო ავტორს.

— რას ამბობთ, ავქსენტი ცაგარელი ხომ დიდხანია გარდაიცვალა.

— ახ, უკაცრავად, მე ყოველთვის ერთმანეთში ვურევ ავქსენტი ცაგარელსა და გიორგი ერისთავს.

ანატომიის გაკვეთილებზე

მასწავლებელი—რომელი კბილი ამოსდის აღამიანს უკანასკნელად?

მოწაფე—ხელოვნური, მასწავლებელო.

თავისებურად გავიგო

ექიმი—პაპიროსს ეწვიეთ?

ავადმყოფი—გმადლობთ ექიმო, ეს არის ახლა მოგსწიე.

წინდაუხედავი დამცვერი

ადვოკატი—მე თქვენ მოგიწყვეთ გამართლება: დავუმტკიცე სასამართლოს, რომ მოპარული ფულებიდან თქვენ არაფერი გაქვთ. რატომ არ მაძლევთ გასამრჯელოს?

კლიენტი—საიდან უნდა მოგვცეთ, როცა თქვენ თითონ დამტკიცეთ, რომ არაფერი მაქვს...  
—

წინდახედული

— მე გთხოვეთ მხოლოდ პუტრი, თქვენ კი მუწუკების წამალსაც მაძლევთ...

— ქალბატონო, მე ვხედავ, რომ მუწუკები არა გაქვთ, მაგრამ პუტრის ხმარების შემდეგ გექნებათ.


სიტყვა გადაუკრა

— მალე მოვრჩები, ექიმო?


— შენზე ჰკილია, თუ მარიფათს გამოიჩენ და იყოჩაღებ, ერთ თვესაც ვერ მოვრჩები. ბიულეტენი გკირდება?

# ერთი ავტოს თავგადასავალი


ტექსტი — კ. გელათელია




1. „თბილსულშენმიგაქვს“ ტრესტის დირექტორმა გიორგიმ დაწესებულებისათვის ახალი მანქანა მიიღო.




2. დიდად განარბული ოჯახი ნათესავებოთურთ ხშირად ხეირნობდა ქალაქგარედ.



3. გიორგის მანქანა ახლობლების და მეგობრების ცოლშვილის აგარაკებზე გადაყვანამ ძალზე დააზიანა.



4. ასეთი მარშრუტების შემდეგ მანქანის წინა ბორბლები ვილის ბორბლებმა შესცვალა.



5. მოკლე ხანში ვილის ბორბლების ფუნქციას თვითმფრინავის ბორბლები ასრულებდა, ხოლო მანქანის უკანა ნაწილისას — საბარგოსი.



6. ამოცანა გვეკითხება: რამდენ ხანში მიიღებს მანქანა ასეთ კონსტრუქციის სახეს ამგვარ დირექტორების ხელში?!

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, შ. ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49